ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ვედენინი



გ. ნაპალკოვი

ეს დაუშვებელია!

„ლელოს" მიმდინარე წლის 11 იანვრის ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით — „დაუყოვნებლივ გამოასწორეთ შეცდომა". წერილში ნათქვამი იყო, რომ ბევრმა ვერ გაიგო ზედმეტი შტატების შემცირების შესახებ ზემდგომი ორგანოების დადგენილების არსი. ბევრი ხელმძღვანელი შეეცადა ეს ღონისძიება საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტების ხარჯზე გაეტარებინა.

აი, კიდევ ორი მაგალითი: მარნეულის რაიონის ალგეთის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ი. ჯიქიძემ არ გააუქმა 1970 წლის 9 იანვრის ბრძანება ამ ორგანიზაციის მეთოდისტის ი. ყურბანოვის განთავისუფლების თაობაზე. ასევე შტატების შემცირების მიზეზით გაათავისუფლა წალკის რაიონის აგრანლოს მეხორცეობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა დ. საბაძემ ამ მეურნეობის მეთოდისტი ს. ტოსუნოვი. დღემდე ტოსუნოვიც არ აღუდგენიათ სამუშაოზე.

ი. ჯიქიძეს, დ. საბაძეს და იმ ორგანიზაციების ხელმძღვანელებს (თუ კი ასეთები კიდევ არიან), რომლებმაც „ლელოს" განმარტება ყურად არ იღეს, მოვაგონებთ დეპეშის შინაარსს, რომელიც შტატების შემცირების თაობაზე გამოგზავნა სსრ კავშირის პროფსაბჭოს მდივანმა ვ. ზოგატიკოვმა:

„ადმინისტრაციულ-სამმართველოებრივი აპარატის შემცირებასთან დაკავშირებით ადგილი აქვს საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტების სამუშაოდან დათხოვნას. მიიღეთ სასწრაფო ზომები საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტების სამსახურიდან ამ მიზეზით დათხოვნის აღსაკვეთად, ვინაიდან ისინი არ ეკუთვნიან ადმინისტრაციულ-სამმართველოებრივ პერსონალს და ხელფასი ეძლევათ შრომის დაცვის თანხებიდან".

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 33 (4027) 17 1970 წ. თებერვალი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

გ. კულაკოვა

სამი ოქრო

შტრბსკე-პლესო, 15 თებერვალი. სათხილამურო სპორტში მსოფლიოს 28-ე ჩემპიონატის მასპინძელი მაღალი ტატრები შაბათს გულღიად — შესანიშნავი ამინდით შეხვდა სტუმრებს. 25 ქვეყნის საუკეთესო წარმომადგენელთა აღლუმისა და საშუალო ტრამპლინიდან ხტომის სანახავად ათეული ათასობით მაყურებელმა მოიყარა თავი. მონაწილეთა პარადი, მისალმებები, ჩემპიონატის საზეიმო გახსნა გადაიქცა ნამდვილ სპორტულ დღესასწაულად, რომელიც პირველი მედლების გათამაშებით დამთავრდა.

საშუალო ტრამპლინიდან ხტომაში საპრიზო ადგილებისთვის 69 „მფრინავი მოთხილამურე" იბრძოდა. ამ ტურნირში საბჭოთა ქვეყნიდან 4 სპორტსმენი გამოდიოდა. კენჭისყრამ კ. წაქაძეს არ გაუმართლა: მას № 4 ერგო, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ პირველ ცდაში კობა თვითონ უნდა ყოფილიყო სხვებისთვის ორიენტირი. ა. ივანიკოვი (მოსკოვი) 30-ე ნომრით ასპარეზობდა, გ. ნაპალკოვს (გორკი) 39-ე ნომერი ჰქონდა. ყველაზე იღბლიანი გამოდგა გრენობლის ოლიმპიადის ჩემპიონი ვ. ბელოუსოვი (ლენინგრადი): 65-ე ნომერი ხვდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ბელოუსოვი, რომელმაც უკვე შესანიშნავად იცოდა მეტოქეთა შედეგები, გაბედულად დაეშვა, ოსტატურად შეასრულა არეკნი და პირველ ცდაზე კარგი შედეგიც (81,5 მ) აჩვენა.

მანამდე ტრამპლინის რეკორდი დაამყარა იაპონელმა ი. კასაიმ, რომელიც 84,5 მეტრზე გადახტა, მაგრამ ბელოუსოვმა სტილში ყველას აჯობა და ლიდერი გახდა. პირველ ცდაზე წაქაძე 75.5 მეტრზე გადახტა, ივანიკოვი — 77,7, ნაპალკოვი — 78,5 მეტრზე.

წინ იყო მთავარი ბრძოლა — მეორე ცდა, რომელსაც მედლების განაწილებაში საბოლოო სიტყვა ეკუთვნოდა. კასაის საქმე ცუდად არ ჰქონდა და ამიტომ აღარ გარისკა, 70 მეტრზე გადახტა, საბოლოოდ 237,7 ქულა დააგროვა და ლიდერი გახდა.

მაგრამ მისი პირველობა დიდხანს არ გაგრძელებულა. როცა ნაპალკოვი დაეშვა და 84 მ აჩვენა, ხუთივე მსაჯმა მას ტექნიკაშიც უმაღლესი შეფასება მისცა. საბოლოოდ — 240,6 ქულა. ნაპალკოვის დამარცხება ახლა მხოლოდ ბელოუსოვსა და ლ. გრინს (ნორვეგია) შეეძლოთ. გრინმა პირველი ცდის შედეგი ნახევარი მეტრით გააუმჯობესა — 81,5 მ აჩვენა, მაგრამ თოვლზე დაშვებისას წაიფორხილა და სტილში დაჯარიმდა, ბელოუსოვი კი მხოლოდ 75,5 მეტრზე გადახტა.

ამრიგად, გორკის პედინსტიტუტის სტუდენტმა ნაპალკოვმა წლევანდელ ჩემპიონატში ოქროს პირველი მედალიც მოიპოვა.

ვერცხლი ხვდა კასაის, ბრინჯაო — გრინს (234,6 ქულა). ბელოუსოვი VI ადგილზე გავიდა — 231,8. წაქაძე 23-ე ადგილზეა — 214,0 ქულა (75,5 და 75 მ), ივანიკოვი კი 34-ე იყო — 209,7 (77,5 და 71 მ).

დღეს ბრძოლამ დისტანციაზე გადაინაცვლა. ვაჟები 30 კმ-ზე ასპარეზობდნენ. სტარტზე აქაც სსრ კავშირის თითო სტაიერი გამოვიდა. მოსკოველი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ვ. ვედენინი, რომელმაც ბაკურიანში სსრ კავშირის თასის გათამაშებაში 15 კმ-ზე რბენა ბრწყინვალედ მოიგო, მწვრთნელებმა წილისყრისას უძლიერესთა ჯგუფში შეიყვანეს და არც შემცდარან. სპორტსმენმა, რომელიც სტარტიდან 74-ე გავიდა, ყველაზე კარგი შედეგი (1:39.48,0) აჩვენა და მკერდი ოქროს მედლით დაიმშვენა.

II ადგილზეა გ. გრიმერი (გდრ) — 1:40.25,56; III — ო. მარტინსენი (ნორვეგია) — 1:41.40,42.

სსრ კავშირის მოთხილამურე ვაჟებმა მსოფლიო ჩემპიონობა ბოლოს 1954 წელს მოიპოვეს, როცა ვ. კუზინმა ორი პირველი ადგილი დაიკავა. მას შემდეგ 16 წელი გავიდა და აი, ახლა ვედენინმა ისახელა თავი. ეს დიდი წარმატებაა, მით უმეტეს, რომ უკვე ორ სახეობაში გამართულ შეჯიბრებებში ორივე ოქრო საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს.

დღეს სარბიელზე გავიდნენ ორჭიდელებიც. ისინი ტრამპლინიდან ხტომაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. საბჭოთა მოთხილამურეები არც აქ დარჩნენ ვალში: ი. კოზულინმა 211,5 ქულა დააგროვა და ლიდერი გახდა. მისი თანაგუნდელები ვ. დრიაგინი და ნ. ნოგოვიცინი IV და VI ადგილებზე იყვნენ. ორჭიდელები შედეგებს ხვალ შეაჯამებენ 15 კმ-ზე რბოლით. ხვალვე გაიმართება ქალთა რბოლა 5 კმ-ზე.

შტრბსკე-პლესო, 16 თებერვალი. სსრ კავშირის მოთხილამურეებისთვის მაღალი ტატრები იღბლიანი გამოდგა: დღეს 5 კილომეტრზე რბენაში 49 ქალი ჩაება, აქედან 4 საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენელი იყო და სამივე საპრიზო ადგილიც მათ ხვდათ. უმედლოდ მხოლოდ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ნ. შებალინა (ლენინგრადი) დარჩა. სამაგიეროდ, თავი ისახელა შებალინას თანაქალაქელმა სპორტის ოსტატმა ნ. ფიოდოროვამ, რომელიც სტარტიდან მეორე წავიდა და, პირველი გამოვიდა 19-წუთიანი ზღვარიდან. იგი ლიდერობდა, ვიდრე რბოლას დაამთავრებდა მოსკოველი ოსტატი გ. პილიუშენკო — 18.27,27.

უძლიერესთა ჯგუფში გამოდიოდა ასპარეზობის მონაწილე ქვეყნების თითო წარმომადგენელი: შვეციიდან — აუფლესი, ფინეთიდან — კაიოსმაა, სსრ კავშირის თასის ორგზის მფლობელი გ. კულაკოვა (უდმურტეთი) .... აუფლესმა და კაიოსმაამ შესანიშნავად ირბინეს, მაგრამ ისინი მხოლოდ 19 წუთში „ჩაეტივნენ".

საბოლოოდ მედლები ასე განაწილდა: ოქრო მიიღო კულაკოვამ — 18.07,89, ვერცხლი — პილიუშენკომ — 18.27,26, ბრინჯაო — ფიოდოროვამ — 18.28,26.

ორჭიდელთა შეჯიბრება 24 წლის ჩეხოსლოვაკიელი სტუდენტის ლ. რიგლის გამარჯვებით აღინიშნა — 410,50 ქულა. ვერცხლის მედალი ერგო ნოგოვიცინს (407,30), ბრინჯაოსი — დრიაგინს (407,02).

ანტრაქტის შემდეგ

ლენინგრადი, 15 თებერვალი. ხანმოკლე ანტრაქტის შემდეგ კვლავ ასწიეს დიდი „ფრენბურთის სპექტაკლის" ფარდა — სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა 8 უძლიერესმა გუნდმა განაგრძო ბრძოლა ოქროს მედლებისთვის. ლენინგრადის ტურისთვის საუკეთესო მაჩვენებლებით ჩაებნენ ბრძოლაში დედაქალაქის დინამოელები და არმიელები — მათ 6-6 ქულა აქვთ.

შეჯიბრების პირველ დღეს მინსკის „სპარტაკმა" მძაფრი წინააღმდეგობა გაუწია საბჭოთა კავშირის ჩემპიონს ცსკა-ს, მაგრამ მაინც დამარცხდა — 2:3 (6:15, 7:15, 15:13, 16:14, 12:15). მოსკოვის „ლოკომოტივმა" მოუგო ბაქოს „ნეფტიანიკს" — 3:1 (10:15, 15:8, 15:1, 15:9).

მოსკოვის საერთაშორისო...

მოსკოვი, 15 თებერვალი. დღეს აქ დაიწყო ჩოგბურთელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრების პირველ დღეს ა. ერემეევამ დაამარცხა რუმინეთის ჩემპიონი ი. დიბარი. ასევე იღბლიანად ჩაატარა შეხვედრა ე. იზოპაიტისმა, რომელმაც დაამარცხა გდრ-ის ჩემპიონი ჰ. რიდე.

პირველ დღეს ჩოგბურთელები მერვედფინალში გასვლისთვის იბრძოდნენ. ერემეევასა და იზოპაიტისთან ერთად მერვედფინალში გავიდნენ თ. ლეიუსი, ვ. პალმანი, ვ. კოროტკოვი, ა. ლასი, მ. ჩუვირინა, რ. ისლანოვა და სხვ.

ბრძოლაში ჩაებნენ ქალები

სპეციალური სლალომისა და სწრაფდაშვების ტრასებზე

ვალ-გარდენა, 16 თებერვალი. იტალიის ამ სამთო კურორტზე მიმდინარე სამთომოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატში ქალებიც ჩაებნენ და უკვე შეაჯამეს კიდეც შედეგები ორ სახეობაში: სპეციალურ სლალომსა და სწრაფდაშვებაში.

სპეციალური სლალომის 480-მეტრიან ტრასაზე (სიმაღლეთა სხვაობა 160 მ, 59 და 56 კარი) ორივე ცდა მოიგო ი. ლაფორგმა (საფრანგეთი), რომელმაც საბოლოოდ 1.40,44 აჩვენა. სსრ კავშირიდან ამ ჩემპიონატში მოსკოველები ნ. მერკულოვა და ს. ისაკოვა მონაწილეობენ, მაგრამ სპეციალურ სლალომში დისტანცია ვერც ერთმა ვერ დაამთავრა. მერკულოვა პირველ ცდაზე დაეცა, ისაკოვას იგივე ბედი ეწია მეორე ცდაზე.

სწრაფდაშვებაში (2750 მ, სიმაღლეთა სხვაობა 675 მ, 31 კარი) გაიმარჯვა ა. ცრიდმა (შვეიცარია) — 1.58,34. ცრიდი წლეულს სარბიელზე არ ჩანდა, ვინაიდან სეზონის დასაწყისში წვრთნისას დაეცა და ზურგის კუნთები დაეჭიმა. მან მხოლოდ სამიოდე კვირის წინ განაახლა ვარჯიში და აი, უკვე გამარჯვებაც იზეიმა.

მერკულოვა XIV ადგილზე გავიდა (2.03,80), ისაკოვა XXXII ადგილს დასჯერდა — 2.10,29.

ანტვერპენი, 16 თებერვალი. ბელგიელმა ველოსიპედისტმა ტ. ვერშუერენმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ერთსაათიან სალიდერო რბოლაში — 64 კმ, 546 მ. მან 768 მეტრით გააუმჯობესა ჰოლანდიელი ჰ. პოსტის მიერ 5 წლის წინათ დამყარებული რეკორდი.

ველოსპორტი

ნახევარფინალისტთა ვინაობა გაირკვა

კურგანი, 15 თებერვალი. აქ რამდენიმე დღეა მიმდინარეობს სსრ კავშირის XX პირადი ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში, ქალთა ერთეულებში ყველა შეხვედრა წარმატებით ჩაატარეს ლიტველმა სპორტსმენებმა: ვილნიუსის 1-ლი საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე დ. სემაშკაიტემ (მეთექვსმეტედფინალში დაამარცხა სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი ლ. ამელინა — 3:2, მეოთხედფინალში სძლია მოსკოველ ნ. გნატიუკს) და ა. სკარულენშემ (კონდრატაიტე). აღსანიშნავია, რომ მან მეოთხედფინალში დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი წყვილებში, მოსკოველი ზ. რუდნოვა — 3:1 (22:20, 21:19, 21:23, 21:16). ლიტველებმა ნახევარფინალის საგზურები მოიპოვეს.

ნახევარფინალში გავიდნენ, აგრეთვე, მოსკოველები ლ. გრინინა და მსოფლიო ჩემპიონი წყვილებში ს. გრინბერგი. ამ უკანასკნელმა მეოთხედფინალში დაამარცხა ბაქოელი რ. პოლოსოვა — 3:2 (20:22, 21:16, 21:17, 19:21, 21.15).

ვაჟთა ერთეულების ნახევარფინალში გავიდნენ მოსკოველები დ. ბროდსკი (დაამარცხა ომსკელი გ. სტრელნიკოვი), ა. ამელინი (დაამარცხა ბათუმელი ს. სარხოიანი), ს. გომოზკოვი და ერევნელი ფ. ფილოსიანი.

გაიმართა პირველი შეხვედრები წყვილთა თანრიგში. ჩემპიონთა ვინაობა გაირკვევა 17 თებერვალს.

ფიზკულტურა და სპორტი სახვით ხელოვნებაში

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის სამდივნოს, საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის გაერთიანებულმა კოლეგიამ განიხილა საკითხი III საკავშირო მხატვრული გამოფენის ორგანიზაციის შესახებ. გაერთიანებულ სხდომაზე გადაწყდა, რომ გამოფენა მოეწყოს თემაზე „ფიზიკური კულტურა და სპორტი სახვით ხელოვნებაში".

გამოფენა გაიმართება 1971 წლის აგვისტოში, ესე იგი, სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის დღეებში. ამ ღონისძიების მიზანია ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდა, საბჭოთა წარმატებების ჩვენება სახვითი ხელოვნების საშუალებებით. გამოფენაზე გამოტანილი იქნება ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკის, მონუმენტური და დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები. გამოფენის ექსპონატებმა უნდა მოგვითხრონ სსრ კავშირში ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებაზე, საბჭოთა სპორტსმენების მიერ მოპოვებულ დიდ წარმატებებზე, საერთაშორისო სპორტულ ურთიერთობაზე და სხვ.

კოლეგიის გაერთიანებულ სხდომაზე გადაწყდა გამოფენის მოწყობასთან დაკავშირებული ბევრი ორგანიზაციული საკითხი. შეიქმნა საგამოფენო კომიტეტი, რომელშიც შევიდა 46 კაცი. საქართველოდან საგამოფენო კომიტეტის წევრად დამტკიცებულია რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი ჟ. მეძმარიაშვილი.

იმედია, რომ ამ შესანიშნავ თაოსნობას სახვითი ხელოვნების ქართველი ოსტატებიც აუბამენ მხარს.

„ჩივილში ყველა მარჯვე ვართ..."

● „ლოკომოტივის" საგზაო საბჭოს II პლენუმი ●

პატარა, მყუდრო დარბაზში მხოლოდ „შინაურებს" მოეყარათ თავი და გასაგებია, რომ საუბრის ტონი მაინცდამაინც მკაცრი არ იყო. ჯერ გავეცნოთ ზოგიერთ ცნობას მთავარი მოხსენებიდან:

— შარშან ჩატარდა პროფკავშირთა IX საკავშირო სპარტაკიადა, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. ორგანიზებულად მოეწყო სპარტაკიადები ფიზკულტურის კოლექტივებში, სამტრედიისა და თბილისის რაისაბჭოების სარკინიგზო კვანძებში. ცუდად ჩატარდა ეს შეჯიბრებები ერევნის განყოფილებაში და სატრანსპორტო მშენებლების ფიზკულტურის კოლექტივებში.

სხვა მდგომარეობაა საქართველოში. აქ 302 სპორტსმენი რესპუბლიკური სპარტაკიადის 22 სახეობაში გამოდიოდა. მათგან 36 კაცი ჩემპიონი გახდა, 49 მოასპარეზემ II ადგილი დაიკავა, 56 მონაწილემ — III. კარგად იასპარეზეს წყალბურთელთა, ნიჩბოსანთა და მესტენდურეთა ნაკრებმა გუნდებმა — I ადგილები დაიკავეს. II ადგილებზე გავიდნენ კალათბურთელები, ფრენბურთელები, ტანმოვარჯიშეები, ხელბურთელები (ვაჟთა გუნდები).

მესამე პრიზიორები გახდნენ კალათბურთელი ქალები, მძლეოსნები, თავისუფალი და კლასიკური სტილის მოჭიდავეები.

უნდა აღინიშნოს მწვრთნელების გ. ნიორაძის, გ. მარეხაშვილის, მ. კუროჩკინის, რ. მესხიშვილის, ვ. გავრილენკოს, ვ. უზუნოვის, რ. შენგელიას, გ. ვარძელაშვილის, უ. ბარნაბიშვილის, ვ. სუხოტინის კარგი საქმიანობა.

სუსტად იმუშავეს მწვრთნელებმა ი. ტლაშაძემ (ქართული ჭიდაობა), ი. ტარანმა (ფრენბურთი, ქალები), თ. აფრიდონიძემ (ტანვარჯიში, ქალები), დ. ბასილაძემ (ძალოსნობა), რომელთა გუნდები IV-V ადგილებზე გავიდნენ. ამ წარუმატებლობაში ბრალი მიუძღვით საგზაო სექციებსაც და საგზაო საბჭოს სასწავლო-სპორტულ განყოფილებასაც.

პროფკავშირთა V რესპუბლიკურ სპარტაკიადაში მონაწილეობის მთელი სიმძიმე თბილისის რაისაბჭოს დააწვა მხრებზე. 302 კაცში 275 სპორტსმენი მისი იყო.

რაისაბჭოების მუშაობის ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს უკმარი დახმარება ფიზკულტურის კოლექტივებისადმი. ამას გარდა, რაისაბჭოები პრაქტიკაში არ ნერგავენ მოწინავე ფიზკულტურული კოლექტივების გამოცდილებას, საგზაო საბჭო კი მათ სათანადო მითითებებს არ აძლევს. შეჯიბრებებზე მსაჯებად იშვიათად იწვევენ საზოგადოებრივ კადრებს. ივიწყებენ საზოგადოებრივ ინსტრუქტორებსა და მწვრთნელებსაც.

ამავე დროს, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ყოველდღიური დახმარება, რომელსაც გზის ხელმძღვანელობა (უფროსი გ. ქადაგიძე) და ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტი (თავმჯდომარე ა. გობიანიძე) გვიწევენ. წლიდან წლამდე იზრდება ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობისთვის, სპორტინვენტარისა და მოწყობილობის შესაძენად გამოყოფილი თანხა.

1969 წელს ლოკომოტიველებმა სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებებში, მათ შორის, რკინიგზელთა საერთაშორისო სპორტული კავშირის პირველობაში ოქროს 10, ვერცხლის 4 და ბრინჯაოს 2 მედალი მოიპოვეს.

კარგად იმუშავეს სპორტკლუბებმა „თბომავალმა" და „ელმავალმა", სოხუმის, სამტრედიის, ხაშურის, თბილისის, ლენინაკანის სალოკომოტივო დეპოების, სამტრედიის, თბილისის, ერევნის სავაგონო დეპოების ფიზკულტურულმა კოლექტივებმა.

1968 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა სპორტულ სექციებსა და ჯგუფებში მომეცადინეთა რიცხვი, რასაც თვალსაჩინო წვლილი შეაქვს ჩვენს წარმატებაში — ჩვენმა საგზაო საბჭომ ხომ უკვე ზედიზედ მეექვსე წელია შეინარჩუნა „ლოკომოტივის" ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

სამუშაო გეგმის ყველა მაჩვენებელი გადაჭარბებით გვაქვს შესრულებული. შარშან გეგმით უნდა მოგვემზადებინა 8 სპორტის ოსტატი, მოვამზადეთ 17, 190 სპორტის ოსტატობის კანდიდატისა და პირველთანრიგოსნის მაგიერ — 196, 800 მეორეთანრიგოსნის ნაცვლად — 868, 3100 მესამეთანრიგოსნის მაგიერ — 3245...

შემდეგ მომხსენებელმა ა. გიორგობიანმა ილაპარაკა ცალკეულ სახეობებში არსებულ მდგომარეობაზე და აღნიშნა, რომ დიდი შრომაა გასაწევი ტანვარჯიშის, ველოსპორტის, ცურვის, ძალოსნობის, კალათბურთის, ფრენბურთის შემდგომი განვითარებისთვის.

ძალიან მტკივნეულია ბაზების საკითხი. სამტრედიის რაისაბჭოს აქვს სპორტდარბაზი, სტადიონი, სადაც სარბენი ბილიკები არ არის. ქუთაისში მესამე წელია ვერ დაამთავრეს მძლეოსნური მანეჟი. ამ ქალაქში არის ჭიდაობის პატარა დარბაზი. ასეთი დარბაზია სოხუმშიც.

თბილისში რკინიგზელთა განკარგულებაშია სპორტდარბაზი თამაშებისთვის, სტადიონი. ახლახან მიიღეს ღია საცურაო აუზი გათბობით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბაზების უმრავლესობა კეთილმოწყობას, სათანადო აღჭურვასა და რემონტს მოითხოვს

„მუშა ხარ? შემოდი ერთი, წაიმუშავე", — ასე ეგებებიან გამვლელებს „ლოკომოტივის" სოხუმის საწყლოსნო სადგურის კართან. რემონტისთვის ფული გამოყოფილია, მაგრამ სამტრედიის განყოფილების სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ეს არ აღელვებს. სხვათა შორის, მოუვლელია მოედნები სოხუმშიც. ამ ბაზების რემონტის პროექტი ჯერ კიდევ 1965 წელს შედგა, მაგრამ დღემდე ლოზეც ვერ შემოავლეს. არა და, აქ მშვენიერი სპორტული ქალაქი შეიძლება მოეწყოს. ალბათ, სპორტსმენებიც ხელს გამოიღებდნენ.

ქუთაისში, სადგურის ახლოს, საქალაქო საბჭოს აღმასკომმა 1965 წელს გამოჰყო ადგილი რკინიგზელთა სპორტული კომპლექსისთვის. პროექტი შედგა, მაგრამ საქმეს ხელი არავინ მოჰკიდა.

... სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის უკვე დაიწყო გულმოდგინე მზადება. აუცილებელია რკინიგზელებმაც გამოაცოცხლონ მუშაობა, მასობრივი ხასიათი მისცენ შეჯიბრებებს, უზრუნველყონ საზოგადოებრივი კადრების მასობრივად მომზადება და დახელოვნება.

მომხსენებელმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი სპარტაკიადების, შეჯიბრებებისა და სამატჩო შეხვედრების ჩატარების აუცილებლობას როგორც თვით საგზაო ორგანიზაციაში, ისე სხვა სპორტსაზოგადოებების გუნდებთან.

—საყურადღებოა მშრომელთა შორის გამაჯანსაღებელი მუშაობის საკითხიც, — თქვა გიორგობიანმა. — თითქოს ვმუშაობთ, ადგილებზე ჯანმრთელობის სპარტაკიადებსაც ვატარებთ, ტურისტულ ლაშქრობებსაც ვაწყობთ, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანებთან შედარებით. ამ საკითხს ნაკლებ ყურადღებას უთმობენ რაისაბჭოების ხელმძღვანელები. იქნებ ამიტომაა, რომ იშვიათად ტარდება შეჯიბრებები საშუალო და უფროსი ასაკის ხალხში, იქნებ ბევრ მსხვილ საწარმოში და სპორტულ ბაზებზე სწორედ ამიტომ არ არის შექმნილი ჯანმრთელობის ჯგუფები?

აი, რაზე ილაპარაკა საგზაო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგობიანმა მოხსენებაში „საქართველოსა და სომხეთის პროფკავშირთა V რესპუბლიკურ, პროფკავშირთა IX საკავშირო სპარტაკიადებში ამიერკავკასიის „ლოკომოტივის" საგზაო საბჭოს სპორტსმენთა მონაწილეობის შედეგებისა და სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის მზადების ამოცანების შესახებ".

კამათში გამოვიდნენ „ლოკომოტივის" სამტრედიის რაისაბჭოს თავმჯდომარე Ი. ᲡᲢᲣᲠᲣᲐ, თბილისის რაისაბჭოს თავმჯდომარე Მ. ᲑᲐᲚᲓᲐᲡᲐᲠᲝᲕᲘ, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, „ლოკომოტივის" საგზაო საბჭოს უფროსი მწვრთნელი მძლეოსნობაში Ვ. ᲡᲣᲮᲝᲢᲘᲜᲘ, ქუთაისის რკინიგზის კვანძის სპორტკლუბ „თბომავლის" თავმჯდომარე Ნ. ᲖᲘᲕᲖᲘᲕᲐᲫᲔ, თბილისის „ლოკომოტივის" წყალბურთელთა გუნდის მწვრთნელი Გ. ᲜᲘᲝᲠᲐᲫᲔ, „ლოკომოტივის" სოხუმის საწყლოსნო სადგურის დირექტორი Ქ. ᲖᲐᲛᲑᲐᲮᲘᲫᲔ, „ლოკომოტივის" საგზაო საბჭოს თავმჯდომარე Თ. ᲙᲐᲞᲐᲮᲘᲫᲔ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარემ Ა. ᲒᲝᲑᲘᲐᲜᲘᲫᲔᲛ.

დასასრულ უნდა ვთქვათ, რომ რკინიგზელთა სპორტის ზოგიერთი ხელმძღვანელის გამოსვლაში აშკარად იგრძნობოდა ჩივილი: ჩვენ არავინ გვეხმარება, იძულებული ვართ თვითონ გავართვათ საქმეს თავი.

და სწორი იყო „ლოკომოტივის" საგზაო საბჭოს თავმჯდომარე თ. კაპახიძე, როცა თქვა: „ჩივილში ყველა მარჯვე ვართ, მუშაობაში კი..."

● ᲐᲨᲮᲐᲑᲐᲓᲘ, 15 თებერვალი. დღეს აქ დიდი ინტერესი გამოიწვია პოლონეთის მრავალგზის ჩემპიონის — ხორჟუვის „რუხის" შეხვედრამ ადგილობრივი „სტროიტელის" ფეხბურთელებთან. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1 (1:1).

● ᲛᲘᲜᲡᲙᲘ, 15 თებერვალი. გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების მოკრივეთა ნაკრებმა აქ მატჩი გამართა სსრ კავშირის ნაკრების მეორე შემადგენლობასთან (როგორც ცნობილია, სსრ კავშირისა და აშშ-ს მოკრივეთა ეროვნული გუნდების პირველი შეხვედრა მოსკოვში მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა — 9:2). ამჯერადაც საბჭოთა მოკრივეებმა იმარჯვეს. შეხვედრის ანგარიშია 8:3.

● ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 15 თებერვალი. ცსკა-ს ჰოკეისტთა გუნდმა დღეს სსრ კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩი წააგო მოსკოვის „დინამოსთან" — 3:4. გადამწყვეტი შაიბა დინამოელებმა მესამე პერიოდში გაიტანეს. ბოლო წლებში ცსკა მუდამ იმარჯვებდა თასის გათამაშებაში. ახლა ეს პრიზი ან დინამოელებს დარჩებათ, ან მეორე ნახევარფინალური წყვილის (მოსკოვის „სპარტაკი" — ლენინგრადის ასკ) ერთ-ერთ წარმომადგენელს.

● ᲝᲡᲚᲝ, 15 თებერვალი. „ბიშლეტის" სტადიონის ყინულის ბილიკებზე გათამაშდა ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი ციგურებით სწრაფრბენაში, რომელმაც ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ამჟამად ჰოლანდიელ ა. სხენკს მართლაც არა ჰყავს ბადალი დედამიწაზე. სხენკი ყველა დისტანციაზე საუცხოოდ გამოვიდა, გაიმარჯვა 1500 მეტრზე რბენაში (მისი შედეგი — 2.04,4 — მსოფლიო ჩემპიონატების ახალი რეკორდია) და მრავალჭიდში 173,487 ქულა დააგროვა. ვერცხლის მედალი მოიპოვა ნორვეგიელმა მ. ტომასენმა (173,893), ხოლო ბრინჯაოსი — ჰოლანდიელმა კ. ფერკერკმა (174,463). შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონი, ნორვეგიელი დ. ფორნესი მხოლოდ V ადგილზე აღმოჩნდა. საბჭოთა მოციგურავეები კვლავ უხეიროდ გამოვიდნენ: ვ. ლავრუშკინმა XIV ადგილი დაიკავა, ხოლო ი. იუმაშევმა — XV.

● ᲑᲠᲘᲐᲜᲡᲙᲘ, *15 თებერვალი. აქ იასპარეზა მძლეოსანთა დიდმა ჯგუფმა, რომელიც დახურულ შენობაში ევროპის პირველობისთვის ემზადება. მეხიკოს ოლიმპიადის პრიზიორმა, ევროპის ჩემპიონმა ვ. გავრილოვმა 213 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა გადალახა 3 სანტიმეტრით ნაკლები დაძლიეს ი. ტარმაკმა (ლენინგრადი) და ვ. კოზლოვმა (ბრიანსკი). მოსკოველმა გ. ბუხარინამ 50 მ 6,2 წამში გაირბინა. მაყურებლებმა იგი განსაკუთრებით მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს — მათ იცოდნენ, რომ ეს დღე ბუხარინას დაბადების დღე იყო. ასეთივე შედეგები ჰქონდათ ლ. ჟარკოვას (მოსკოვი), ლ. სამოტიოსოვას, ვ. ბალაშოვას (ორივე — ბრიანსკი), ლ. მიხაილოვას (კალინინი). ვაჟთა შორის ამ დისტანციაზე თავი გამოიჩინეს ე. სინიაევმა (ბრიანსკი) და ვ. საპეიამ (მოსკოვი) — 5,6 წამი. ქვეყნის რეკორდსმენმა ლ. სამოტროსოვამ ყველას აჯობა 300 მეტრზე რბენაში — 39,9. მოასპარეზეები ადგილობრივი კლუბის „დესნის" თასებს ეცილებოდნენ ერთმანეთს. მძლეოსნებმა კიდევ ერთხელ შეამოწმეს თავიანთი მზადყოფნა საერთაშორისო შეჯიბრების წინ, რომელიც ამ თვის ბოლოს გაიმართება მოსკოვში.*

● ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ, 15 თებერვალი. 19 წლის კორნელია პოპესკუმ აქ გამართულ შეჯიბრებაში 181 სმ სიმაღლე დაძლია. იგი მეორე მხტომელია ევროპაში, ვინც ამ ზამთარს 180-სანტიმეტრიან ზღვარს გადააჭარბა.

მასპინძელთა უპირატესობით

ამას წინათ თბილისში მოეწყო რვა ქალაქის უნივერსიტეტების ტრადიციული მატჩი სპორტულ ტანვარჯიშში. საინტერესო შეჯიბრება სამ დღეს გაგრძელდა.

თბილისელ ოსტატ ქალთა და ვაჟთა გუნდებმა დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს. მათ ჩინებულად იასპარეზეს და დაისაკუთრეს გარდამავალი პრიზი, რომელიც შარშან დაწესდა რიგის უნივერსიტეტის ინიციატივით. გარდა ამისა, თბილისის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მოიგეს ქალთა და ვაჟთა გუნდებისთვის განკუთვნილი თასებიც.

აღსანიშნავია, რომ პირველობა ცალკეულ იარაღებზეც გაიმართა. აქაც ქართველმა სტუდენტებმა გამოიჩინეს თავი: ქალებში აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა სპორტის ოსტატმა, საქართველოს ნაკრების წევრმა რ. ბერიკაშვილმა (II ადგილზეა სპორტის ოსტატი ლ. გათენდაშვილი, III — სპორტის ოსტატი რ. ჯინჭარაძე), ხოლო ვაჟთა შორის — სპორტის ოსტატმა ყ. ლუდუშაურმა (II ადგილზეა სპორტის ოსტატი შ. აზარაშვილი, III — ე. ეკსუზიანი).

ცალკეულ იარაღებზე ასპარეზობისას ჯინჭარაძემ პირველობა არავის დაუთმო ორძელზე და ხტომებში. ბერიკაშვილი პირველობდა თავისუფალ ვარჯიშში, ხოლო სპორტის ოსტატი ე. ბოგოლიუბოვა — ძელზე.

ვაჟებში რგოლებსა და ტაიჭზე საუკეთესო იყო აზარაშვილი, ძელზე — ეკსუზიანი, ხტომებში — ლუდუშაური. სტუმრებიდან მხოლოდ მოსკოველმა სპორტის ოსტატმა ა. კონდრაშინმა იზეიმა ორი გამარჯვება (ორძელზე და თავისუფალ ვარჯიშში).

საერთო გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: ქალები — 1. თბილისი, 2. ლენინგრადი, 3. მოსკოვი; ვაჟები — 1. თბილისი, 2. კიევი, 3. მოსკოვი.

Ც. ᲐᲑᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
სპორტის ოსტატი.

თბილისში მიმდინარეობს „ბურევესტნიკის" საკავშირო პირად-გუნდური პირველობა თანამედროვე ხუთჭიდში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ რსფსრ-ს (3 გუნდი), უკრაინის, სომხეთის, მოსკოვის, ლენინგრადისა და საქართველოს კოლექტივები.

დამთავრდა შეჯიბრება პირველ სახეობაში — ფარიკაობაში. გუნდური პირველობა მოიგეს რსფსრ-ს მეორე კოლექტივის წარმომადგენლებმა — 900 ქულა. II-III ადგილებზე შესაბამისად არიან საქართველოსა და უკრაინის სპორტსმენები.

პირად პირველობაში დაწინაურდა ე. ალბრეხტი (უკრაინა) — 1048 ქულა. 952 ქულით II ადგილზეა მოსკოველი ს. ბენედიქტოვი, ხოლო III — რსფსრ-ს II გუნდის წარმომადგენელი ნ. მარტინოვი — 904 ქულა.

საქართველოს სპორტსმენთაგან საუკეთესო — ნ. ახალშენიშვილი (856 ქულა) VI ადგილზეა.

ს უ რ ა თ ზ ე: ახალშენიშვილისა (მარცხნივ) და ალბრეხტის ორთაბრძოლის მომენტი. გაიმარჯვა ქართველმა სპორტსმენმა.

ტექსტი და ფოტო გ. დოლენჯაშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი 70

სიახლენი დებულებაში

სსრ კავშირის 1970 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის დებულებაში შეტანილია რამდენიმე ცვლილება.

✦ „ა" კლასის უმაღლესი ჯგუფის გუნდები აპრილ-ივნისის პერიოდში სსრ კავშირის ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში ქვეყნის ნაკრების წევრთა გარეშე გამოვლენ.

✦ უმაღლესი ჯგუფის გუნდების ძირითად შემადგენლობათა შეჯიბრებებში მატჩის მსვლელობისას ნებადართულია 2 მოთამაშის შეცვლა. I და II ჯგუფებში შეიძლება 3 მოთამაშის შეცვლა, ხოლო უმაღლესი ჯგუფის დუბლშემადგენლობაში — 6 მოთამაშისა.

✦ ფეხბურთელს, რომელიც გამოდიოდა ერთი რომელიმე გუნდის შემადგენლობაში, უფლება არა აქვს „ა" კლასის იმავე ჯგუფის შეჯიბრებაში სხვა გუნდში გამოვიდეს.

✦ სსრ კავშირის თასის გათამაშებაში ფეხბურთელს უფლება აქვს ითამაშოს მხოლოდ ერთი რომელიმე გუნდის შემადგენლობაში.

✦ თუ II, III და მომდევნო ადგილების პრეტენდენტ გუნდებს ქულათა თანაბარი რაოდენობა ექნათ, უპირატესობა მიეცემა მას, ვისაც მეტი მოთამაშე ჰყავს ქვეყნის ნაკრებ გუნდებში. ამასთან, გუნდს დაერიცხება ბალები მოთამაშეთა ნაკრებ გუნდებში ყოველი გამოძახებისთვის: ოლიმპიური გუნდის კანდიდატისთვის — 1 ბალი, პირველი ნაკრების კანდიდატისთვის— 3 ბალი. ნაკრები გუნდების კანდიდატებად ითვლებიან ფეხბურთელები, რომლებიც ამ გუნდების შემადგენლობაში მიიწვიეს და ამის გამო სსრ კავშირის ჩემპიონატში თავიანთი კლუბის შემადგენლობაში არ უთამაშიათ.

✦ თუ ეს მაჩვენებელი ერთნაირი იქნა, II, III და მომდევნო ადგილები განისაზღვრება გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით, თუ ეს მაჩვენებელიც თანაბარია — ამ გუნდებს შორის ჩატარებულ მატჩებში ბურთების უკეთესი სხვაობით და შემდგომში — ამ გუნდების შეხვედრებში მეტოქეთა მინდორზე გატანილი მეტი ბურთით.

✦ „ა" კლასის უმაღლეს ჯგუფში XV, XVI და XVII ადგილებზე გასული გუნდები 1971 წელს „ა" კლასის პირველ ჯგუფში გადავლენ, ხოლო გუნდები, რომლებიც „ა" კლასის პირველ ჯგუფში I და II ადგილებს დაიკავებენ, მომდევნო წლისთვის გავლენ „ა" კლასის უმაღლეს ჯგუფში.

✦ მინდვრიდან გაძევებული ფეხბურთელები, აგრეთვე ისინი, რომლებიც მიიღებენ სამ გაფრთხილებას (თუ გაფრთხილება შეჯიბრების ოქმებშია შეტანილი), ან მოთამაშეები, რომლებიც ფეხბურთის სამმართველოს გამოძახების შემდეგ არ გამოცხადდებიან სსრ კავშირის ნაკრები გუნდების (პირველი, ოლიმპიური, ახალგაზრდული, მოზარდთა) შეკრებებსა და მატჩებზე, გააცდენენ ერთ მომდევნო თამაშს პირველობაზე ან თასზე და სპორტულ-ტექნიკური კომისიის გადაწყვეტილებამდე არ დაიშვებიან შემდგომ შეხვედრებზე. იგივე ფეხბურთელი შემდგომში გააცდენს ერთ თამაშს ოქმში ჩაწერილი 2 გაფრთხილებისთვის.

ზოგი რამ ჭიდაობაზე

იანვრის მიწურულს ლოზანაში გაიმართა მოყვარულ მოჭიდავეთა საერთაშორისო ფედერაციის (ფილა) სხდომა, რომელმაც ბევრი საინტერესო საკითხი გადაწყვიტა. აი, ზოგიერთი ამ საკითხთაგანი.

● თეირანის (ირანი) საერთაშორისო ტურნირში, რომელიც „არიამერის" სახელითაა ცნობილი, ეროვნული გუნდების გარდა მონაწილეობას მიიღებს ევროპის ნაკრებიც, რომელიც საუკეთესო ათლეტებით იქნება დაკომპლექტებული.

● ფილა-მ ამიერიდან ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი ჭიდაობის ეროვნული სახეობების დანერგვასა და პოპულარიზაციას.

● ყოველ წელს ჩატარდება სპეციალური თათბირი, რომელიც დაამტკიცებს საერთაშორისო კალენდარს. პირველი ასეთი თათბირი გაიმართება წლეულს, 9-11 ოქტომბერს დუბროვნიკში (იუგოსლავია).

● ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის მორიგი კონგრესი შეიკრიბება 3 ივლისს ედმონტონში (კანადა).

● ჭაბუკთა წლევანდელი ევროპული ტურნირი არ ჩატარდება, ვინაიდან ამ შეჯიბრებას ორგანიზატორი ქვეყანა არ გამოუჩნდა.

● ხელახლა უნდა გადაისინჯოს საკითხი მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ, ვინაიდან ამ ასპარეზობაში მონაწილეობის სურვილი ჯერჯერობით მხოლოდ 10 ქვეყანამ განაცხადა.

● ევროპული ჩემპიონატები, როგორც წესი, მუდამ მაისში ან ივნისში ჩატარდება, მსოფლიო ჩემპიონატები — ორგანიზატორი ქვეყნის გეოგრაფიული და კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

● საერთაშორისო ტურნირებში მსაჯობა სამ ნეიტრალურ მსაჯს უნდა დაეკისროს, სამატჩო შეხვედრებში მსაჯობა — ორს.

● ევროპული ჩემპიონატებისა და „არიამერის" ტურნირების წინ 3 დღით ადრე უნდა მოეწყოს მსაჯთა სემინარი.

● მსოფლიო და ევროპული ჩემპიონატების ხანგრძლივობა ამიერიდან განისაზღვრება 4 დღით, ერთ ან ორდღიანი შუალედით (თავისუფალი და კლასიკური სტილის მოჭიდავეთა შეჯიბრებებს შორის).

● ოლიმპიური ტურნირების ხანგრძლივობა გაზრდილია ხუთ დღემდე ორდღიანი შუალედით.

● 1970 წლის ევროპის პირველობა გაიმართება ბერლინში (ივნისი), 1971 წლის ჩემპიონატს მასპინძელი არ ჰყავს, 1972 წლის ჩემპიონატი გაიმართება პოლონეთში. 1973 წლის ჩემპიონატიც ჯერჯერობით უმასპინძლოდაა.

● 1971 წლის მსოფლიო პირველობა ჩატარდება სოფიაში (დამტკიცებულია), 1972 წლის ჩემპიონატს მასპინძელი არ ჰყავს, 1973 წლის პირველობა გაიმართება ირანში ან თურქეთში.

● 1971 წლის ჭაბუკთა მსოფლიო პირველობა ჩატარდება იაპონიაში.

შიდასაკოლექტივო

თბილსრესი ერთ-ერთი მძლავრი თბოელექტროსადგურია რესპუბლიკაში. მის მუშა-მოსამსახურეთა უმეტესობას სპორტის მოყვარული ახალგაზრდობა შეადგენს. სწორედ მისი ინიციატივითა და დირექციის დახმარებით მოეწყო აქ სპორტული ბაზები, შეიქმნა სექციები, იმართება შეჯიბრებები... ამას წინათ პირველი სპარტაკიადაც ჩატარდა — იგი ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. პროგრამაში იყო ფეხბურთი, ხელბურთი, მძლეოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი. საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა ელექტროსაამქროს კოლექტივმა. II ადგილზეა ჰიდროსარემონტო საამქროს, III — სამმართველოს ნაკრები.

ვ. ჯანეზაშვილი,
თბილსრესის ფიზკულტურის ინსტრუქტორი.

გარდაბანი.

რიაზანელი გოლიათი



წლეულს, იანვრის ბოლოს, სპორტული სამყარო შეძრა სენსაციურმა ცნობამ: ქალაქ ველიკიე ლუკში, რსფსრ-ს ძალოსანთა ახალგაზრდულ პირველობაში უკონკურსოდ მოასპარეზე 28 წლის სპორტის ოსტატმა ვ. ალექსეევმა ყველასთვის მოულოდნელად ერთბაშად 3 მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ამ მაღალი (186 სმ), შავგვრემანი გოლიათის სახელი მანამდე ბევრისთვის როდი იყო ცნობილი. ახალი რეკორდსმენი როსტოვის ოლქის ქალაქ შახტის მცხოვრებია, მუშაობს მაღაროში და ამავე ქალაქის სამთო ინსტიტუტის V კურსის სტუდენტია.

ვ. ალექსეევი 1942 წლის 7 იანვარს დაიბადა რიაზანის ოლქის სოფელ პოკროვო-შიშკინოში. მოგვიანებით იგი არხანგელსკის ოლქის სოფელ როჩეგდაში გადავიდა, სადაც ახლაც ცხოვრობენ მისი მშობლები.

აქ, ჩრდილოეთ რუსეთში, გადადგა ალექსეევმა პირველი ნაბიჯები სპორტში: ფრენბურთელთა შეჯიბრებაში I თანრიგი მიიღო. გატაცებული იყო მძლეოსნობით (მისი პირადი რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში 180 სანტიმეტრს უდრის). ვასილი ახლაც ფიქრობს ბირთვის კვრაში ოსტატის ნორმის შესრულებაზე. იგი სერიოზული წვრთნის გარეშეც 16 მეტრზე გზავნის ბირთვს.

ალექსეევი დიდხანს ოცნებობდა, რომ ბედი ძალოსნობაშიც ეცადა, მაგრამ სოფელში არც მწვრთნელი ჰყავდათ და არც ამ სახეობაში ვარჯიშის პირობები იყო. სამაგიეროდ, ჯანმაგარ სოფლის ბიჭებთან ერთად მუშაობა გამოადგა.

როცა მუშა-ახალგაზრდობის სკოლის დამთავრების შემდეგ ინსტიტუტში შევიდა, ალექსეევი არც დაფიქრებულა, ისე მიაკითხა ძალოსნობის დარბაზს.

სწორედ აქ მიაქცია მას ყურადღება მწვრთნელმა ს. მილეიკომ, რომელმაც ახალგაზრდა სტუდენტში საუცხოო მონაცემები შენიშნა. ალექსეევი უაღრესად გულთბილად იგონებს თავის პირველ მასწავლებელს.

საუცხოო ფიზიკურმა მონაცემებმა, სპორტსმენის შრომისმოყვარეობამ და მწვრთნელის დახმარებამ თავისი გაიტანა: ძალოსნის ოსტატობა სწრაფად იზრდებოდა.

1966 წლის ივნისში ვ. ალექსეევი ლენინგრადს ჩავიდა პროფკავშირელ ძალოსანთა ახალგაზრდულ ჩემპიონატში სასპარეზოდ. აქ გაეცნო იგი „ტრუდის" ცენტრალური საბჭოს მწვრთნელს, სპორტის საპატიო ოსტატს ა. ჩუეინს. მწვრთნელს ალექსეევი ჯერ კიდევ ტულის ასპარეზობაში ჰყავდა ნანახი. გამოცდილმა პედაგოგმა პერსპექტიულ სპორტსმენს თავისი დახმარება შესთავაზა. მას შემდეგ ალექსეევი ჩუეინის ხელმძღვანელობით იწვრთნება.

შრომისმოყვარეობა, შეუპოვრობა, მიზანდასახულება — აი, ალექსეევის მთავარი დამხმარეები. სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაში იგი თავისი მაღაროს კოლექტივის სახელით გამოდიოდა, VIII ადგილი დაიკავა და წელიწადი დაამთავრა სამჭიდში 500 კილოგრამით.

მომდევნო წელს სსრ კავშირის ჩემპიონატში ალექსეევმა სამი მოძრაობის ჯამში 540 კილოგრამი დააგროვა და უკვე III ადგილზე იყო ლ. ჟაბოტინსკისა და ს. ბატიშჩევის შემდეგ.

1969 წელს დაუღალავმა ათლეტმა სხვადასხვა შეჯიბრებაში სამჯერ დააგროვა 530 კგ და გამარჯვება მოიპოვა კიევში, საერთაშორისო ასპარეზობაში „მეგობრობის თასზე".

შარშან შემოდგომით ალექსეევმა და ჩუეინმა რეკორდებზე იერიშის მისატანად დაიწყეს მზადება. გაიზარდა წვრთნის ინტენსივობა: ვასილი ყოველდღიურად 10-15 ტონა სიმძიმეს სწევდა და თანდათან ზრდიდა საკუთარ წონას (ნახევარ წელიწადში — 120-დან 134 კგ-მდე). შემდეგ გადაწყვიტეს, რომ დრო დადგა.

იმ საღამოს ველიკიე ლუკის ლენინური კომკავშირის სახელობის კულტურის სახლის დარბაზში სამჯერ გაისმა ტაში ალექსეევის მსოფლიო რეკორდების აღსანიშნავად. შესანიშნავი შედეგები იყო: სამჭიდის ჯამი — 595 კგ (ეს 5 კგ-ით მეტია მსოფლიო რეკორდზე, რომელიც ადრე ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს ლ. ჟაბოტინსკის ეკუთვნოდა). ალექსეევმა 210,5 კგ აჰქმა და 221,5 კგ აკრა — აჯობა ამერიკელ ძალოსნებს ჯ. დიუბს და რ. ბედნარსკის. ახლა ზემძიმე წონაში ყველა რეკორდი საბჭოთა ათლეტებს ეკუთვნით (მსოფლიო რეკორდს აჰქმაში — 176 კგ — ჟაბოტინსკი ფლობს).

წინაა „კლუბი-600". ვინ შეაღებს პირველი ამ კლუბის კარს?

ვ. ალექსეევი ეცდება ამ შედეგზე მარტში მიიტანოს იერიში, როცა მინსკში ჩატარდება ძალოსანთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება „მეგობრობის თასზე". მან აქ უნდა დაიცვას გამარჯვებულის ტიტული, რომელიც შარშან მოიპოვა. (საკდესი).

* * *

სურათებზე: ალექსეევი და მისი მწვრთნელი ა. ჩუეინი მეცადინეობის დროს; ფოსტალიონმა რეკორდსმენს მოლოცვის ბარათები მიუტანა; ალექსეევმა „კარუსელი" მოუწყო თავის ბიჭებს — დიმას და სერიოჟას.

ფოტო ვ. შანდრინისა და ვ. უნ და-სინისა (საკდესი).

ზამთრის რაიონული

გაგრის სპორტულ ბაზებზე დამთავრდა რაიონის ზამთრის სპარტაკიადა, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. გამარჯვებისთვის იბრძოდნენ „განთიადის", „სპარტაკის", „კოლმეურნისა" და განათლების განყოფილების ნაკრები გუნდები.

ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში ყველას აჯობეს მოსწავლეებმა, ფრენბურთელ ქალთა ასპარეზობაში — „კოლმეურნის" წარმომადგენლებმა, ხოლო ვაჟთა ტურნირში იმარჯვა „სპარტაკის" გუნდმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი იყო განათლების განყოფილების ნაკრები.

ზ. იაშვილი.
(ჩვენი კორ.).

გაგრა.

KORANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS

16 ფინალისტის სახელი

ნაკრები განაგრძობს თამაშს

ლიმა, 15 თებერვალი. სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა აქ ფრედ ითამაშა პერუს ეროვნულ გუნდთან — 0:0.

მატჩი განსაკუთრებით დაძაბულად მიმდინარეობდა შესვენების შემდეგ. პერუელთა თავდამსხმელმა სოტილმა, რომელმაც 61-ე წუთზე შეცვალა კრუზადო, დაახლოებით 5 მეტრიდან ძელს მოახვედრა ბურთი. რამდენიმე კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ საბჭოთა ფეხბურთელებსაც. როგორც აპ-ის სააგენტო იუწყება, სტუმრების თავდამსხმელმა გერშკოვიჩმა მე-80 წუთზე გაიტანა ბურთი, მაგრამ პერუელმა მსაჯმა ა. ტეხადომ თამაშგარე მდგომარეობა მიიჩნია და არ ჩათვალა გოლი.

საბჭოთა გუნდი თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: რუდაკოვი, ძოძუაშვილი, შესტერნიოვი, ხურცილავა, ლოვჩევი, სერებრიანიკოვი, მუნტიანი (კისელიოვი), ასათიანი, ბიშოვეცი (პუზაჩი), გერშკოვიჩი, ნოდია.

მეორე მატჩი პერუსა და სსრ კავშირის გუნდებს შორის გაიმართება 18 თებერვალს.

30 საუკეთესო არბიტრი
ოქროს ქალღმერთი მოგზაურობს
რუმინელთა წაგება

პარიზი, 16 თებერვალი. ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ თამაშებს მეორედ მოემსახურება საერთაშორისო და საკავშირო კატეგორიის მსაჯი, ბაქოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთის კათედრის გამგე, ტ. ბახრამოვი. ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მსაჯთა კომიტეტმა დაასახელა 30 საუკეთესო არბიტრი, რომლებიც დაშვებული არიან მსოფლიო ჩემპიონატის 32 მატჩის ჩასატარებლად. მათ შორისაა ფინალის მონაწილე 10 ქვეყნის 12 მსაჯი (მექსიკა 3 არბიტრითაა წარმოდგენილი).

22 მაისს არბიტრები თავს მოიყრიან მეხიკოში, სადაც ტურნირის წინ სემინარს დაესწრებიან.

მეხიკო, 16 თებერვალი. ბულგარეთის ნაკრების ახალგაზრდა ფორვარდმა მარაშლიევმა ფინალურ სასტვენამდე 7 წუთით ადრე საპასუხო გოლი გაიტანა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელთა — მექსიკის ფეხბურთელთა კარში. ეს ამხანაგური მატჩი „აცტეკის" სტადიონზე, სადაც იმ დღეს 35 ათასმა მაყურებელმა მოიყარა თავი, დამთავრდა ფრედ — 1:1. ანგარიში მე-7 წუთზე გახსნა მექსიკელთა მარჯვენა გარემარბმა დიასმა.

მეტოქეები გაემგზავრნენ ჩრდილოეთ მექსიკაში, ლეონში, სადაც 18 თებერვალს განმეორებით შეხვდებიან ერთმანეთს. ამავე გზას ადგას ჟიულ რიმეს თასი. მატჩის დაწყების წინ მას სტადიონზე გამოიტანს პოპულარული მექსიკელი მეკარე ა. კარბახალი — ხუთი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე. 24 თებერვალს ოქროს ქალღმერთი მეხიკოში დაბრუნდება.

რიო-დე-ჟანეირო, 16 თებერვალი. რუმინეთის ნაკრებმა „რიო-დე-ჟანეიროს პრიზზე" აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში წააგო ბრაზილიის „ფლამენგოსთან" — 1:4 (1:2).

რატომ მოდიან მაყურებლები?

ინგლისელმა ფსიქოლოგებმა შეისწავლეს ფეხბურთის მატჩებზე დამსწრეები და სამ ჯგუფად დაჰყვეს ისინი: 1. მაყურებელთა 58 პროცენტი მოდის იმიტომ, რომ ფეხბურთის მატჩს თვალი ადევნოს (ისინი ჭეშმარიტ გულშემატკივართა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ); 2. 40 პროცენტი მაყურებლისა მოდის იმიტომ, რომ იყვიროს, იმხიარულოს და თავი შეიქციოს; 3. მაყურებელთა 2 პროცენტი მოდის იმიტომ, რომ იმ საღამოს უკეთესი სანახაობა ვერ ნახა, ან გაუცდა.

ჰიდეგკუტის პირველი ტრავმა

ნ. ჰიდეგკუტის, რომელიც უნგრეთის „დიდი გუნდის" ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე იყო, თითქმის ყველა კონტინენტზე უთამაშია. ეს ბრწყინვალე ფორვარდი არასოდეს ერიდებოდა ბრძოლას და უხეშ მცველებს არ გაურბოდა. მას ხშირად პერსონალურ „დარაჯს" უნიშნავდნენ, ძალისმიერ ილეთებსაც იყენებდნენ, მაგრამ (საოცარია!) მაინც არასდროს ჰქონია რაიმე ტრავმა.

ჰიდეგკუტიმ კარგა ხანია დაანება თავი თამაშს. იგი ჯერ იტალიაში იყო მწვრთნელად, შემდეგ კი უნგრეთის I ლიგის გუნდებს ხელმძღვანელობდა. ჰიდეგკუტიმ კარგი მწვრთნელის სახელი დაიმსახურა, მაგრამ არასოდეს შეუწყვეტია ვეტერანთა მატჩებში მონაწილეობა.

ახლა ჰიდეგკუტი 47 წლისაა. მას დიდი უსიამოვნება მოუვიდა ვეტერანთა ამასწინანდელ მატჩში, როცა თავისი სპორტული კარიერის მანძილზე პირველი ტრავმა მიიღო. ეს ტრავმა მეტად სერიოზულია — ფეხს კარგა ხნის მკურნალობა დასჭირდება.

ობიექტივში მსოფლიო

ახალი კოსტუმი • ავარიამ ვერ შეაშინა

ლონდონი. სასტუმრო „ჰილტონში", სადაც 1970 წლის მოდების დემონსტრაცია მოეწყო, ცნობილმა მემანეკენემ პ. კარტერმა დამსწრეთ საჩოგბურთო კოსტუმის ახალი მოდელი უჩვენა.

ლონდონი. მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ავტომრბოლელს გ. ჰილს, რომელიც შარშანდელი ავარიის დროს სასწაულით გადაურჩა სიკვდილს, სახეზე ბედნიერი ღიმილი დასთამაშებს. იგი ეს-ესაა გამოწერეს საავადმყოფოდან და ახლა თავისი მანქანისკენ მიდის. მან გადაწყვიტა ისევ მიიღოს მონაწილეობა ავტორბოლებში.

— ჩემთვის ეს ყველაზე მთავარია ცხოვრებაში, — თქვა ჰილმა.

20-5

◆ ბუდაპეშტი, 16 თებერვალი. უნგრეთის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს უნგრეთის დეპეშათა სააგენტოს (მტი) სპორტული რედაქციის ხელმძღვანელი ი. ჰოფერი. 14 წელიწადს (1953-1966 წ. წ.) იგი წვრთნიდა ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრებს, რომელმაც 1960 წელს უეფა-ს ტრადიციული ტურნირი მოიგო. ჰოფერის ხელმძღვანელობით დიდ ფეხბურთში აიდგეს ფეხი ისეთმა ცნობილმა მოთამაშეებმა, როგორიც არიან ალბერტი, ბენე, ფარკაში, რაკოში, გიორეჩი და ბევრი სხვა. სხვათა შორის, ჰოფერი ჟურნალისტური მოღვაწეობისთვის თავის დანებებას არ აპირებს.

◆ მალაგა, 16 თებერვალი. ესპანეთის ამ ქალაქში დამთავრდა მოჭადრაკეთა X ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. 9-9 ქულით (12-დან) I-II ადგილები გაიყვეს ბ. კურაიცამ (იუგოსლავია) და პ. ბენკომ (აშშ).

◆ ბუდაპეშტი, 16 თებერვალი. აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში 7 ტურის შემდეგ დაწინაურდა პ. კერესი, რომელსაც 6 ქულა აქვს (V ტურში მან ყაიმით დაამთავრა პარტია რ. ხოლმოვთან, VI ტურში მოუგო უნგრელ მ. კოვაჩს, ხოლო VII — ყაიმზე შეუთანხმდა უნგრელ ლ. პორტიშს). კერესს ფეხდაფეხ მიჰყვებიან უნგრელი ლ. საბო (5 ქულა და 1 გადადებული პარტია), პორტიში (5) და ა. სუეტინი (4,5).

◆ ბერლინი, 16 თებერვალი. 55 მეტრზე თარჯრბენში დარბაზებისთვის თავისივე მსოფლიო მიღწევა 0,1 წამით გააუმჯობესა ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონმა კარინ ბალცერმა — 7,5 წამი აჩვენა. ქ. ბრიზენიკმა ახალი ევროპული მიღწევა დაამყარა ბირთვის კვრაში — 19,92 მ. დახურულ შენობაში გდრ-ის ჩემპიონატში კიდევ ორი მაღალი შედეგი იქნა ნაჩვენები: რენატა მაისნერმა 55 მ 6,6 წამში გაირბინა, ხოლო მექსიკის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი კ. ბეერი 804 სანტიმეტრზე გადახტა. ეს შედეგები ქვეყნის ახალი მიღწევებია.

◆ ჰიუსტონი, 16 თებერვალი. ამერიკელმა სტუდენტმა ჯ. ტინკერმა 100 იარდი 9,4 წამში გაირბინა. ეს გამეორებაა დარბაზებისთვის მსოფლიო მიღწევისა, რომელიც შარშან აქვე მოიპოვა იამაიკელმა ლ. მილერმა.

◆ ლუზვილი (აშშ), 16 თებერვალი 24 წლის ზანგმა მორბენალმა მ. მაკგრეიდიმ, რომელმაც შარშან ზამთარს მოსკოვში იასპარეზა, ახალი მსოფლიო მიღწევა დაამყარა აქ გამართულ შეჯიბრებაში — 600 იარდი 1 წუთსა და 8,5 წამში დაფარა. ჯ. გრინმა მსოფლიო მიღწევა (6,8) გაიმეორა 70 იარდზე რბენაში. ამავე მანძილზე თარჯრბენში ახალი მსოფლიო მიღწევით გაიმარჯვა მამი რალინსმა — 8,8.

ლაპარაკობს გენერალური მდივანი

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი უ. ჯონსი სოფიაში დაესწრო ადგილობრივი „აკადემიკისა" და ბელგიის „რესინგის" კალათბურთელთა ორთაბრძოლას ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისთვის. მან ამავე დროს ინახულა ბულგარეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, გენერალ-პოლკოვნიკი ვ. სტოიჩევი, რომელსაც ოლიმპიურ პრობლემებზე ესაუბრა.

საუბრის შემდეგ გენერალურ მდივანს შეკითხვებით მიმართეს ჟურნალისტებმა.

● რა აზრისა ხართ თქვენ, როგორც ერთ-ერთი წამყვანი ოლიმპიური დისციპლინის ხელმძღვანელი და საერთაშორისო ფედერაციების გენერალური ასამბლეის დირექტორატის წევრი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სოფიის კონგრესზე?

— სწორედ ამ საკითხზე გვქონდა საუბარი გენერალ-პოლკოვნიკ სტოიჩევთან. ახლა მთავარია კონგრესის ორგანიზაცია და მისი ნორმალურად ჩატარება. მსოფლიოში მომწიფდა ბევრი ოლიმპიური პრობლემა, რომლებსაც კონგრესი თუ გადაწყვეტს მხოლოდ.

● რა ფაზაშია კალათბურთელ ქალთა ოლიმპიური პრობლემა?

— მიუნჰენში, ისევე როგორც მეხიკოში, მხოლოდ ვაჟები იასპარეზებენ. სისტემაში განსხვავებული არაფერი იქნება. ქალთა კალათბურთის დებიუტი 1976 წლის ოლიმპიურ თამაშებში შედგება.

● კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის შტაბი მიუნჰენშია განლაგებული და თქვენ ალბათ სხვებზე უკეთ იცით, როგორ ემზადება ეს ქალაქი ოლიმპიადისთვის.

— მე ვიცი ერთი რამ: გერმანიაში უყვართ კალათბურთი და ოლიმპიური ტურნირიც კარგად იქნება მოწყობილი. სპორტული თამაშებისთვის მიუნჰენის ცენტრში შენდება დარბაზი 5000 მაყურებლისთვის, რომელიც ჩემი აზრით, ტოლს არ დაუდებს რომის, ტოკიოსა და მეხიკოს სპორტის სასახლეებს.

△ პარიზი. მიუნჰენის ოლიმპიადისთვის მზადებაში საფრანგეთის სპორტსმენებს ფინანსური სიძნელეები უშლით ხელს. ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად პარლამენტის წევრმა, ყოფილმა ჩოგბურთელმა ბ. დესტრემ წამოაყენა წინადადება მოაწყონ სპორტული ტოტალიზატორი.

△ ჰელსინკი. ფინეთის საჰაერო-სატრანსპორტო საზოგადოება „ფინ ერმა" თავის ერთ-ერთ ახალ თვითმფრინავს ცნობილი მძლეოსნის პ. ნურმის სახელი დაარქვა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 08056